№ 210
ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 210
ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 3 ოქტომბერს.

რედაქცია გაზეთის „მშაკისა“ აცხადებს, რომ განსვენებულის პროფესორის

**ანდრია იერემიას ძის არწრუნის**

გვამის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს. წირვასა და პანაშვიდს ხოჯივანქის ეკკლესიაში გარდაიხდიან. წირვა 11 საათზედ დაიწყება. დასასფლავებენ 12½ საათზედ. (1—უ.—1)

**კრება დრამატ. საზოგადოებისა,**

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს,** დილის 11 საათზედ სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წელს საწევრო ფული აქვს შემოტანილი. (3—ნ.—1)

მიმოსვლა მატარებლებისა მცხეთასა და ტფილისს შუა

**1 ოქტომბერს.**

| ტფილისიდგან წავა: | მცხეთიდგან გამოვა: |
|---|---|
| 7 საათ. 37 წ. დილით. | 9 საათ. 21 წ. დილით. |
| 8 „ 20 „ „ | 10 „ 08 „ „ |
| 10 „ 15 „ „ | 11 „ 15 „ „ |
| 11 „ 14 „ „ | 12 „ 30 „ „ |
| 1 „ 30 „ ნაშუადღ. | 3 „ 15 „ ნაშუადღ. |
| 4 „ — „ „ | 5 „ 15 „ „ |
| 5 „ 20 „ „ | 6 „ 45 „ საღამ. |
| 8 „ 36 „ საღამ. | 10 „ — „ „ |

ბილეთები ისყიდება: ტფილისის სადგურზედ წასვლა-მოსვლისა, მცხეთის სადგურზედ მხოლოდ ტფილისამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**— დილის 11½— 12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**— 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**— 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

ტფილისი, 30 სექტემბერი

ისე უთვალყუროდ და უპატრონოდ არა არის-რა ჩვენს ქალაქში დატოვებული, როგორც ის ხალხი, რომელიც ტფილისს, როგორც დიდს ქალაქს, დღესა ყოველსა და კვირასა ყოველსა ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველ ადგილიდგან ეტანება სამუშაოს საშოვნელად, ოჯახებში მოსამსახურობაა, ხელზედ სამსახური და სხვა რამ ისეთი საქმე, რაც განსაკუთრებულ რამ ხელობის ცოდნასა და შესწავლას არ ითხოვს. ალექსანდრეს ბაღი, თამამშოვის ქარვასლის ოთხივ-კუთხივ მხარე სავსეა ასეთის ხალხით. დღეში, სულ ცოტა, სამოც-ოთხმოცს კაცს შეჰხვდებით, დიდსა და პატარას, რომელნიც სდგანან გულს ხელ-დაკრებილი და ელიან, მოვა ვინმე და დაგვიქირავებს, საქმეს გაგვიჩენს რასმეო.

არავინ იცის, ვინ არიან, რა ზნეობისანი, რა წარსულისა, მოწმობა თავისის საბინადრო ადგილიდგან დათხოვნისა საკუთარი აქვთ, თუ სხვისა, ნათხოვარი, უმსახურიათ სადმე თუ არა და თუ უმსახურიათ, რა ზნე-ხასიათი, რა თვისება გამოუჩენიათ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდად საყურადღებოა დამქირავებლისათვის,— საიდუმლო წყვდიადით არის მოცული და დამქირავებელი იძულებულია იხელმძღვანელოს ცუდად, უსაქმოდ მყოფის გარეგნობით, ან კიდევ მისის ნაამბობით, რაც, რაღა თქმა უნდა, ყოვლად უტყუარ თავდებობას ვერ გასწევს, რომ დამქირავებელი არ შესცდება და სწორედ ისეთ კაცს ამოირჩევს, როგორიც ღირსია ასეთის არჩევანისა.

მიზეზიც ეს არის, რომ ასე ხშირია უთანხმოება დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის, ასე ხშირია გაქურდვა და გაძარცვა სახლებისა მოსამსახურეების შემწეობით და არა იშვიათია მოსამსახურეთა თითქმის დღე ყოველ გამოცვლა. უბედურება უფრო ის არის, რომ რამდენისამე ოჯახისაგან გასტუმრებული მოსამსახურე ზნე ხასიათის უვარგისობისა, ქურდობისა, ლოთობისა და სხვა რაიმე ამ გვარის მიზეზით ადვილად ჰპოულობს კვლავ ახალს თავ-შესაფარებელს ბინას. არამც თუ ასეთის ნაკლისანი, არამედ თვით სასამართლოს განაჩენით დასჯილნი და სასჯელ-გარდახდილნიც-კი ჰპოულობენ კვლავ სამსახურს, რაც სასურველი არ არის, რადგან ბევრჯელ ასეთი-კი ჰპოულობს ადგილს და ის-კი ვერა, რომელიც უფრო ბევრად ღირსეულია.

ყოველ ამას, რასაკვირველია, გაწესრიგება უნდა და ეს საქმე და ამასთან ერთად მეთვალყურეობის გაკუნჰულია. ამ აზრს ადგია ბ-ნი მახარაძე და მისი მომხრეენი.

## ფელეტონი

### ყინული და მზე

**ყინული**

მზეო ცხოველო, სხივ-მფენო,
მშვენებავ ცისა, ქვეყნისა,
აღმოსავლეთის გვირგვინო,
პორფირო დასავლეთისა,
გევუკვი—ცრემლად ნუ მადნობ,
ნუ გყევარ მარად მტირალი,—
მეც შემიბრალე, გამათბე,
სხივით შემამკე მჭვირვალი.
მთვარისგან შექედილი ვარ,
ვარსკვლავთგან—განსხვებული,
შვილი ვარ თოვლის სპეტაკის,
ქვეყნად ცით მოვლინებული...
ყველას ამბორს ჰყოფ—სიამით
ეალერსები არესა,
ფრთებში იფარავ ვარსკვლავებს,
ცისკარს და კაშკაშ მთვარესა;
წყვდიადსა სდევნი ქვეყნიდგან,
სიზმრებს და სევდებს მწარესა,
ნაცვლად ამკვიდრებ სიცოცხლეს
და გრძნობას მონარნარესა;
ვარდს, იას, უცხო ყვავილებს
ზრდი, ჰკვირტავ, ჰფურჩქნი მარადა,
ზურმუხტით ჰმოსავ მთა-ველსა
მხიბლავად, გასახარადა,
ოკეანთ, ზღვათა, მდინარეთ
ეფინვი ოქროს ფარადა,
ჩანჩქართ და ნაკადთ ამკვირცხლებ—
მოჰქროლვენ კლდიდგან ბარადა;
ფრინველთა კრებულს გულს უტკბობ,
აჰიკჰიკებენ ენასა,
ძალთა-ძალს ქებას უძღვნიან
და სოფელს—სულის ლხენასა,
გამხნევებული მუშაკი
მოდის საშრომლად ველადა,
ჭირ-ვარამთ დასათურგვნელად
და მტერთან საბრძოლველადა...
მაშ მე რას მერჩი, ლამპარო,
რად მემტერები, მდევნი რად?
რად მადნობ ცრემლად, რად მაქრობ
მთვარისგან შეკრულს მშვენივრად?
შენს სხივებს სპეტაკთ ჩემს გულში
ვაკრთოლებ ათას ფერადა,
ვემსგავსვი ალმასს უფასოს
ქვეყნის გულ-ასაძგერადა...
აბა, მნათობო! შენც მთვარებრ
შემიკავშირდი გულითა,
რომ ორნივ დავტკბეთ სიამით,
შვებით და სიხარულითა...

**მზე**

არა, ყინულო! შენს ცივს გულს
მე ვერ შევუწყობ სხივებსა,
ვერ შევუკინძავ სამოსად
თვალ-მარგალიტურ მძივებსა!
შენ გულ-ცივი ხარ სამარებრ,
მე ცეცხლისა ვარ მფრქვეველი,
შენ მთესველი ხარ სიკვდილის,
მე-კი სიცოცხლის მძლეველი,
სულ სხვა-და სხვა ვართ შენ და მე,
სულ სხვა გვარი გვაქვს ბუნება:
მე ცად მეფობა შემშვენის,
შენ—ცრემლი, დაძაბუნება...
მაგრამ რა-კი გსურს—არ გნახავ,
ღრუბლებში დავიმალები,
მიგანდობ მარტო მთვარესა,
რომ შეგირკინოს ძალები;
აღარ დაგადნობ ცრემლადა,
შენც სცან სიცოცხლის სიამე,
მაგრამ გთხოვ—მე ნუ მახსენებ
და მარტო მთვარე იამე...

**ყინული**

არა, დიდებავ! არ მინდა
უშენოდ ქვეყნად არსება,
რადგან მუნ ჩემი სიცოცხლე
ჯოჯოხეთს დაემსგავსება...
რად მინდა ცისა კამარა,
ან მოკაზმული სოფელი?
შენით შემძულდა მთოვარე
სინაზით მანათობელი;
დავგმე ვარსკვლავთა მრავლობა,
განთიადისა იმედი,
თუმცა მით მქონდა შემკული
ეს გამჭვირვალე გულ-მკერდი...
მომფინე, მზეო, სხივები,
ნუ მაკლებ მათსა ელვასა,
დამწვი, დამადნე, თუ გინდა,
მიმეცი ცრემლთა დენასა!
რადგან შენ გფიცავ, მნათობო,
თავდებათ იყოს თითონ ცა,
რომ იმ ცრემლებში მექნება
სიცოცხლეც... ნეტარებაცა!..

გრ. აბაშიძე

## რა ეკონომიურს მდგომარეობაში ვართ?

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა“, ფ. მახარაძისა- „კვალი“: 1, 2 და 4 №№ 1898 წ.

ბ-ნ ფ. მახარაძემ აასრულა თავისი დანაპირები, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას შევისწავლი და გამოვაქვეყნებო. მე მსურს ამ წერილში ვუჩვენო ბ-ნ ფ. მახარაძეს, რომ იგი ჯერ სრულიად მოუმზადებელია თეორიულად ეკონომიურის კვლევა ძიებისათვის, თუმცა მადლობის ღირსია სასტატისტიკო ცნობების შეკრებისათვის. ამას გარდა ბ ნ ფ. მახარაძის წერილის გამო მსურს, შეძლებისადაგვარად, გამოვთქვა ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რა ეკონომიურს საფეხურზედ სდგას დაახლოვებით დღეს ჩვენი ქვეყანა.

ბ-ნი ფ. მახარაძე ამტკიცებს, ვითომ ჩვენში იყოს კოლოსსალური ზრდა მრეწველობისა. თუ ასეა, მაშ მეტი რაღა გვინდა, დავჯდეთ და ვილხინოთ! თუ ინგლისელები ამაყობენ ლონდონით და მანჩესტერით, ჩვენც, სამაგიეროდ, ნება გვაქვს ბაქოთი და ბათომით ვიამაყოთ. ტფილისს ხომ სდის და გადასდის სამრეწველო თანხა. მარტო ტყავის ქარხნები რადა ჰღირს?! ამას გარდა, ჭიათურა, ტყიბული!...ერთის სიტყვით, ჩვენი ქვეყანა ევროპის

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენკი ეს ევროპიული სიმდიდრე ვერსად ვერ გვინახავს ჩვენში. სიღარიბესკი ყველგან, ყოველ ფეხის გადადგმაზედ ვხედავთ. ამას გარდა, ჩვენში თუ სამრეწველო თანხა ჰმეფობს, როგორც ჰბრძანებს ბ-ნი ფ. მახარაძე, რატომ არ არის ის წოდებათა შორის ბრძოლა, ის მეცნიერული და ტეხნიკური ზრდა-განვითარება, ის ინტენსივური საზოგადო ცხოვრება, რომელიც შედეგია სამრეწველო თანხისა?

სამრეწველო თანხის მეფობა არის უმწვერვალესი ეკონომიური მდგომარეობა, რომლამდისაც-კი მიუღწევია დღემდის კაცობრიობას და რომელიც გამეფებულია დღეს დასავლეთს ევროპასა და ამერიკაში. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ფული, თანხა, კაპიტალი სცვლის ძირიანად ძველებურ წარმოების წესს, რომელმაც გაჰყო საზოგადოება კაპიტალისტებად და პროლეტარიებად, გააერთიანა შრომა, განავითარა საგანგებოდ მწარმოებელი ძალა და უქადის მოსპოს თვით წოდებათა შორისი ბრძოლა და,მაგიერ, დაამყაროს ქვეყნად ძმობა და ერთობა? ასეთი მოძრაობა არა ყოფილა ისტორიაში არას დროს, იგი არ არსებობს დღესაც აზიაში,

წევა მოსამსახურეებზედ ქალაქის თვით მმართველობამ უნდა იკისროს. ამის შესახებ, რამდენადაც ვიცით, შვიდი-რვა წელიწადია ქალაქის გამგეობას მიწერ-მოწერა ჰქონდა დაწყებული სხვა ქალაქთა თვით-მართველობასთან იმის გამოსარკვევად, თუ იქ როგორ არის საქმე მოწყობილ-მომართული. კერძო კაცთა კრებაცკი იყო და კომისია ამოირჩიეს მოსამსახურეთა საზოგადოების წესდებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაწესრიგების პროექტის შესადგენად, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე განზრახვა კეთილ სურვილის წრე-ფარგალს არ გასცილებია და არც ერთს საქმეს განხორციელებისა ჯერ არა ეტყობა-რა.

ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობა ამ საგანს არავითარს ყურადღებას არ აქცევს და ძველი საქმეც, მოსამსახურეთა მდგომარეობის გაწესრიგების შესახებ დაწყებული, მივიწყებული ჰგდია სადღაც არხივში. სხვა ქალაქებში კი ამ მხრივ საქმე გაცილებით უკეთ არის წარმართული, მაგალითებრ, ვარშავაში, სადაც დებულება შინა მოსამსახურეთა შესახები უკვე დიდიხანია ჰმოქმედებს და კარგი ნაყოფიც გამოიღო მისმა შემოღებამ. ქ. პეტერბურგის თვით-მმართველობის წინაშეც უკვე წარდგენილია მისდა განსახილველად პროექტი მოსამსახურეთა დაქირავებისა და მეთვალყურეობის დებულებისა, შემუშავებული განსაკუთრებულ კომისიის მიერ. ეს პროექტი იმ დებულების მიხედვით არის შემუშავებული, რომელიც ვარშავაში ჰმოქმედებს და რომლის ღირსება უკვე ნაცადია ცხოვრებაში.

დროა, ვგონებთ, რომ ჩვენმა ქალაქის თვით-მმართველობამაც მიაქციოს ამ საგანს ყურადღება და ერთ-ერთმა ხმოსანმა აღძრას ამის შესახებ ლაპარაკი. შემდეგს წერილში ვეცდებით მცირეოდნად გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ის პროექტი მოსამსახურეთა მდგომარეობის გაწესრიგების დებულებისა, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგის ქალაქის საბჭოსა აქვს წარდგენილი განსახილველად.

ფარნაოზი

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის დადგენილების თანახმად, უმოწყალესად კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხისა იმერეთის ეპარქიის ტბეთის ეკკლესიის მღვდელს სპირიდონ სოხაძეს 50 წლის სამსახურისა გამო.

—

დანიშნულ იქმნა კანცელარიის მოხელედ ნამყოფი, თავადი გურამიშვილი—განჯის გუბერნიის ჯევანშირის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსად.

გადაყვანილ იქმნა, თავისისავე თხოვნის თანახმად ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მომრიგებელი შუამავალი, ჯაყელი იმავე გუბერნიის ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ შუამავალად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე სამადალაშვილი.

# ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნატორმა საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის უფროსებს, რომ წარუდგინონ მას ამ ახლო მომავალში თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ ჟამად დაარსებულ იქმნას ქალაქებსა და დიდ სოფლებში ბავშვთა თავ-შესაფარების სამაზრო სამზრუნველოები.

⁂ 29 სექტემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა განათავისუფლოს როგორც გამგეობის წევრი ხ. ა. ვერმიშევი, აგრეთვე აღმაშენებელი განყოფილება ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის და წარმოების საქმისაგან და ეს საქმე ჩააბაროს საბჭოს მიერ ამორჩეულ განსაკუთრებულს კომისიას.

⁂ შემდეგი კრება ქალაქის საბჭოს ექმნება 3 ოქტომბერს. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, საბჭო განიხილავს შემდეგს საგნებს: გამგეობის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა იმ ხარჯში, რომელიც პოლიციის შენახვას დასჭირდება; გამგეობის მოხსენებას ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის სახლის ასაშენებლად ფულის გადადების შესახებ; ამავე კრებაზედ არჩეული იქმნება ქალაქის ლომბარდის გამგე და იმის კანდიდატი.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში ექვსი სახელოსნო სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ერთი მათგანი ფოთში იქმნება.

⁂ ტფილისში ყოფნის დროს სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის წინაშე წარსდგნენ ტფილისის სავაჭრო კომიტეტის თავმჯდომარე, ვაჭართა მამასახლისი და სავაჭრო კომიტეტის წევრნი. იმათთან ლაპარაკის დროს კოვალევსკიმ, სხვათა შორის, ის აზრი წარმოსთქვა, რომ სასურველია დაარსებულ იქმნას ტფილისში საკომერციო კურსები, ისეთი, როგორიც პეტერბურგშია დაარსებული, სადაც მცირე სასყიდლით ახალგზადა კაცებს ასწავლიან საკომერციო საგნებს. ტფილისის სავაჭრო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეგ საგანი კომიტეტმა უკვე განიხილა და შეიმუშავა და ამ ახლო მომავალში კიდეც წარუდგენს ფინანსთა სამინისტროსაო. იმასთან ერთად წარედგინება მინისტრს შუამდგომლობაც ტფილისის ნოქართა ურთ ერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ბ-ნი კოვალევსკი დახმარებას დაჰპირდა.

⁂ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ხეხილის გამოფენა, პირველ ოქტომბრის ნაცვლად, როგორც საზოგადოების მიერ გამოცხადებული იყო, დაიწყება 4 ოქტომბერს.

⁂ გაზ. „კავკას“-ის სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ი. ი. სანდრიგაილო დანიშნულ იქმნა ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის საბჭოს წევრად.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გზათა სამინისტრომ ნება დართო დერბენტის შტოზედ მატარებლების დროებით მიმოსვლისაო.

⁂ გაზ. „კავკას“-ის სიტყვით, გერმანიის ქვეშევრდომმა ო. ფ. გერფურტმა მიჰმართა კავკასიის უმაღლესს მთავრობას და სთხოვა ნება მომეცით დუშეთის მაზრაში სახელმწიფო მიწაზედ ლიტოგრაფიის ქვის წარმოებას შეუდგეო.

⁂ სოფ. კავთისხევიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“-ს, რომ 26 სექტემბეს, ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს კავთისხევის ეკკლესიაო. გაუტეხიათ კლიტე, შესულან და წაუღიათ შემდეგი ნივთები: ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, ვერცხლის სანაწილე, თორმეტი თითბრის ჯვარი; აგრეთვე ორი ფულის ყულაბი, რომლის ფულის რაოდენობა არ იციან, ხოლო კასსაში-კი 6 მანეთი ყოფილა. ქურდების კვალი ჯერ არა სჩანს, მხოლოდ ახალქალაქისკენ მიმავალთ გზაზედ უპოვიათ ჯვარი ამ ეკკლესიისა.

⁂ ფოთი. ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის თაოსნობით და აქაურ სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართულ იქმნება ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადადებულია ორის ღარიბის სტუდენტის სასარგებლოდ. საქველ-მოქმედო საღამოს, იმედია, ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, რაც აქ ქართული წარმოდგენის ჭაჭანებაც არა ყოფილა. ახლო მომავლისათვის მხნე და ქველ-მოქმედიმანდილოსანი გვპირდება წარმოდგენების გამართვას მომავალ წიგნთსაცავის სასარგებლოდ.

⁂ სოფ. ჭერჟვისი, (შორაპნის მაზრა). ამას წინად აქ ბ-ნი მაზრის უფროსი ბრძანდებოდა, რომელმაც ხალხს გამოჰკითხა, თუ რა ესაჭიროებათ მათ. სხვათა შორის ბ-ნმა მაზრის უფროსმა ურჩია ხალხს, რომ სოფლის სასწავლებლისა და სამმართველოსათვის ახალი შენობა ააგონ. ხალხმა ყურადღებით მოისმინა მაზრის უფროსის მამაშვილური დარიგება. ეხლა აქ მოლაპარაკეა აქვთ ერთმანეთ შორის ამ საგნის შესახებ და ჰფიქრობენ ერთი ორ-სართულიანი ქვიტკირის შენობა ააგონ, რომ ქვედა სართულში სასამართლო მოთავსდეს და ზედაში—სასწავლებელი.

⁂ სოფელი დერჩი, (ლეჩხუმის მაზრა). 24 სექტემბერს ერთი საზარელი საქმე მოხდა აქ. ელიზბარ წერეთელი მივიდა სამსონ ასათიანთან და უთხრა, რომ შენი ღობე გაარღვიე და გზად გამიშვიო. ასათიანი არ დას-

---

არ არსებობს ჯერ არც ჩვენს ქვეყანაში, რომელიც უფრო აზიის ნაკვეთს წარმოადგენს, ვიდრე ევროპისას.

სამრეწველო კაპიტალი ორნაირია: სამანუფაქტურო და სამაშინო. პირველი ჰსუფევდა ევროპაში მეთვრამეტე საუკუნეში, მეორე შეადგენს მეცხრამეტე საუკუნის კუთვნილებას. ჩვენი აწინდელი ეკონომიური მდგომარეობა უფრო ევროპის მეთვრამეტე საუკუნისებურ მდგომარეობას წააგავს, ვიდრე ეხლანდელს, თუმცა სრული მსგავსება ისტორიულ გარემოებათა სხვა-და-სხვაობის გამო, რასაკვირველია, შეუძლებელია.

სამრეწველო კაპიტალის გამარჯვება როგორც სავაჭრო და საჩარჩო კაპიტალზედ, აგრეთვე ძველებურ მიწათ-მოქმედებაზე, მოასწავებს სამაშინო წარმოების განვითარებას. სამანუფაქტურო კაპიტალს არ შეეძლო პირველი ადგილი დაეჭირა სავაჭრო კაპიტალთან შედარებით. როდესაც სამანუფაქტურო კაპიტალი ჰსუფევდა ევროპაში, მაშინ სიმდიდრე და ძალა შედარებით უფრო ვაჭრების ხელში იყო. თვით მწარმოებელი მაშინ უფრო იმითი იყო მდიდარი, რომ ვაჭარიც იყო იმავე დროს. უკანასკნელი საუკუნოები ევროპაში განსხვავდება იმითი, რომ სავაჭრო კაპიტალი პირველობას თან და თან უთმობს, სამრეწველო კაპიტალს, რომელიც ბოლოს იმარჯვებს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ეხლა ევროპაში სამრეწველო კაპიტალი უპირატესობს, ეს იმას არ ამტკიცებს, ვითომ და მეთვრამეტე საუკუნეში მეტი და უმდიდრესი ვაჭრები ყოფილიყვნენ, ვიდრე ეხლა. პირ-იქით, მრეწველობის ზრდისათანავე იზრდებოდა ვაჭრობაც, მაგრამ შედარებით მრეწველობა ბევრად უფრო გაიზარდა, ვაჭრობის ზრდა უკან ჩამორჩა მრეწველობისას. თუ რა კანონი მოქმედებს აქ, ამის გასაცნობად მკითხველს დავუსახელებ „კაპიტალის“ მესამე ტომს. ბ-ნი ფ. მახარაძე ამტკიცებს, ჩვენის სამრეწველო კაპიტალის კოლოსსალურ ზრდას იმითი, რომ ჩვენში აღებ-მიცემობა ძლიერ გაიზარდაო. მაგრამ აღებ-მიცემობა, ვაჭრობა ძლიერ განვითარებული იყო ძველ ფინიკიაში, კართაგენში, საბერძნეთში და რომში. ნუ თუ ამ ქვეყნებში კაპიტალისტური წარმოება არსებობდა? სავაჭრო კაპიტალი შესაძლოა იყოს სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგს სოციალურ ვითარებაში, იგი ურიგდება როგორც მონათ-მფლობელობას, აგრეთვე კაპიტალიზმს. სავაჭრო კაპიტალის ზრდა არ ამტკიცებს კიდევ უთუოდ სამრეწველო კაპიტალის ზრდას. ამას გარდა, სავაჭრო კაპიტალი სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა-და-სხვა როლს თამაშობდა. იგი ხელს უწყობდა ხელობათა განვითარებას საბერძნეთში, რომში კი ხელს არ უწყობდა; ამასთანავე მას ყველგან თან ახლავს საჩარჩო კაპიტალი. აგრეთვე სავაჭრო კაპიტალი ზოგან იწვევს სოციალურ ცვლილებათ. მაგალითად, პროგრესსიული სოციალური მოძრაობა ევროპაში მეთვრამეტე საუკუნეში სავაჭრო კაპიტალის შედეგია. ზოგან, აზიურს ქვეყნებში იგი ურიგდება სრულს უმოძრაობას.

მაშასადამე, სავაჭრო კაპიტალს სხვა-და-სხვა ვითარებაში სხვა-და-სხვა შედეგი მოჰსდევს. დამტკიცება იმისი, რომ ამა-და-ამ ქვეყანაში სავაჭრო კაპიტალი განვითარდაო, სრულიადაც არ ამტკიცებს იმავე დროს აუცილებელ განვითარებას მეტადრე სამრეწველო კაპიტალისას.

ბ-ნი ფ. მახარაძე ძლიერ გაუკვირვებია სავაჭრო კაპიტალის ზრდას ჩვენში. მაგალითად, იგი ამბობს: „1821 წელს ახალი სადამოჟნო წესდებით უცხოეთიდგან შემოტანილ იქმნა ამიერ კავკასიაში სულ 825,985 მანეთის საქონელი და გაიტანეს საზღვარ-გარეთ სულ 463,135 მანეთის. შვიდი წლის შემდეგ, ე. ი. 1828 წელს, საზღვარ-გარეთიდგან საქონლის შემოტანამ მიაღწია 2.968,090 მანეთამდეო.“ ეს ამბავი, ასეთი განვითარება ვაჭრობისა ასე მოკლე დროს ამტკიცებს, რომ ჩვენი ვაჭრობის განვითარებას წარმოების განვითარებასთან საქმე არ ჰქონია. საინტერესოა წარმოგვიდგენდეს ბ-ნი ფ. მახარაძე ცნობებს, თუ რა-და-რა დარგი მრეწველობისა აღორძინდა და გაიზარდა მაშინ ჩვენში. ეს მოვლენა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჭრობა განვითარდა, თუმცა წარმოება იგივე დარჩა. ე. ი. რასაც უწინ თითონ ვხმარობდით, ამ შვიდ წელიწადში იგი სავაჭრო ბაზარზედ გავიტანეთ, ფულად ვაქციეთ და აღებულის ფულით საქარხნო ნაწარმოები ვიყიდეთ. სახმარებელი ღირებულებანი გარდავაქციეთ საცვლელ ღირებულებად. ხმარებამ იცვალა სახე, თუმცა მწარმოებელი ძალა იგივე დარჩა.

ბ-ნი ფ. მახარაძე ჰბძანებს: „1870 წელს ამიერ-კავკასიის საგარეო აღებ-მიცემობა მთელის რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობის $^1/_{45}$ ნაწილს შეადგენდა და 1889 წ. კი $^1/_{18}$-სო“. უთუოდ ასეც უნდა მომხდარიყოს. რუსეთში სავაჭრო კაპიტალმა კაი ხანია მოიკიდა ფეხი; იქ 1870 წელს რუსეთის ნაწარმოებნი უკვე სავაჭროდ გადაქცეული იყო; მაშასადამე, რუსეთის აღებ-მიცემობის განვითარება მას შემდეგ, რაც იქ უკვე სავაჭრო კაპიტალი დამკვიდრდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ მრეწველობის განვითარებით, და მრეწველობის განვითარება-კი ათას-წილ უფრო ძნელია, ვიდრე ვაჭრობისა: მომზადების გაზრდა და გაუმჯობესება, ცხადია ბევრად აღემატება სიძნელით სყიდვა-გასყიდვას. მეტადრე ქართველები ერთობ მარჯვენი ვართ გაყიდვაში, თუ რამე გვაქვს.

მაშასადამე, ეს საბუთები გვიმტკიცებს სავაჭრო კაპიტალის განვითარებას.

სხვა ნიშნებიც არის სავაჭრო კაპიტალისა ჩვენში. როგორც ვიცით, სავაჭრო კაპიტალს ყოველთვის თან ახლავს საჩარჩო კაპიტალი. გავიხსენოთ ძველი საბერძნეთი, რომი, საშუალო საუკუნოები, მოვიგონოთ ეხლანდელი ინდოეთი, რუსეთი, ჩვენი კავკასია, ყველგან ვხედავთ დაბუდებულს საჩარჩო კაპიტალს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საჩარჩო კაპიტალი თუმცა შედეგია სავაჭროსი, მაგრამ ამ ორგვარ კაპიტალს შორის არ არსებობს პროპორციული დამოკიდებულება. საჩარჩო კაპიტალი ერთგვარის სისასტიკით ჰმოქმედებს იქაც, სადაც ვაჭრობა ძლიერ განვითარებულია და იქაც, სადაც ვაჭრობა, შედარებით, არ არის ისე განვითარებული.

(შემდეგი იქნება)

თანხმდა, ჩემს ადგილზედ გზას ვერ დავდებო. მაშინ ამოიღო რევოლვერი წერეთელმა და სამჯერ ესროლა ასათიანს. ამ უკანასკნელს ორი ჭრილობა აქვს და საეჭვოც არის მისი მორჩენა. დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო.

*** ამ ბოლოს დროს ქ. ტფილისში ყვავილი თანდათან უფრო ვრცელდება. განსაკუთრებით ეს ავადმყოფობა უფრო ქალაქის მე-6 და 7 ნაწილში მძვინვარებს. რადგანაც ამ ნაწილების ყვავილის-ამცრელნი საქმეს ვერ ასდიან, ამიტომ გუბერნიის გამგეობის სამკურნალო განყოფილებამ განკარგულება მოახდინა, რომ მათ სხვა ნაწილის ამცრელნიც მიეშველნენ. ამას გარდა განყოფილებამ დაავალა ქალაქის მკურნალებს წარუდგინონ ხოლმე მას დაწვრილებითი ანგარიში ყვავილის აცრის შესახებ.

*** ამას წინად თიონეთის მაზრაში, სოფ. ფასსმას მახლობლად, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ხანჯლით მოუკლავთ ფასსმანის მცხოვრებელი ნინა აზაძე.

*** იმავე მაზრის სოფ. ხევის-ჭალის მცხოვრებელი პეტრე ბოლოსიშვილი, 12 წლისა, ამ რამდენისამე დღის წინად ცოფიან მგელს დაუგლეჯია. ბავშვი ტფილისის ცოფის ამცრელ სადგურში გამოუგზავნიათ.

*** ტფილისში ჩამოვიდა და დღეიდგან მადერის ცირკში წარმოდგენებს გამართავს ჩინელთა დასი. დასი ხუთის კაცისაგან შესდგება.

*** 29 სექტემბერს ტფილისის მახლობლად მწყნეთის მინდორზედ დუელი მოხდა ი. დ. ხ. და ნ. ი. ა. შორის. პირველი ფეხში დაიჭრა.

*** რედაქციამ მიიღო მეორე, აგვისტოს ნომერი „Ежемѣсячный бюллетень Тифлисской Физической Обсерваторіи“-ისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. მუხურა.** (შორაპნის მაზრა). მუხურა დიდი სოფელია; აქ ხუთას კომლამდე მცხოვრები ითვლება, მაგრამ სწავლა-განათლების მხრივ ერთობ დაქვეითებულია იგი. მართალია, აქ ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი არსებობს, მაგრამ ბევრს აქაურს მცხოვრებზედ ისე არის დაშორებული, რომ ბევრი თავის შვილებს ვერ ჰგზავნის იქ.

28 აგვისტოს აქ მობრძანდა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების მეთვალყურე მამა მელიტონ კელენჯერიძე და 29 იმავე თვისა აბესამების ეკლესიის მრევლს წირვის შემდეგ განუმარტა, რამდენად საჭიროა ხალხისათვის სწავლის შეძენა და ურჩია,—სამრევლო სასწავლებელი დააარსეთო. ხალხმა უარი უთხრა მამა კელენჯერიძეს: ჩვენ ღარიბები ვართ და ახალს ბეგარას ვერ დავიდებთო. გარდა ამისა არც შენობის აგება შეგვიძლიან სასწავლებლისათვისო. თუ გნებავთ, თქვენვე ააგეთ სასწავლებელი, მასწავლებელი გამოგზავნეთ და ჩვენ ჩვენის შვილების სწავლების ქირას მოვცემთ მასწავლებელსო. მამა მელიტონი ბევრს ეცადა დაერწმუნებინა ხალხი, რომ თქვენ ოღონდ შენობა ააგეთ და მასწავლებლის ფულს თქვენ არ გადაგახდევინებთო, მაგრამ ვერა გააწყო-რა.

ბოლოს აქაურ ეკლესიის დიაკვანმა ბ-ნ ს. გოგსაძემ მოახსენა მამა მელიტონს, რომ მე ვკისრულობ ჩემის ხარჯით სასწავლებლისათვის შენობის მოშოვნასო და იქვე ხალხის თვალ-წინ კიდეც მოურიგდა ერთს კაცს. მამა კელენჯერიძემ მადლობა გარდაუხადა ბ-ნს გოგსაძეს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა თავის მხრივ. ბ-ნი გოგსაძე სასულიერო სემინარიის მეექვსე კლასიდგან არის გამოსული და ორი წელიწადი მასწავლებლადაც იყო სხვა სოფელში.

ნესტორ აბესაძე

—

**ს. კიწია,** (სენაკის მაზრა). 21 სექტემბერს კიწიაში მობრძანდნენ სენაკის მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე და მომრიგებელ შუამავალი თავ. მიქელაძე, რომელთაც თან ახლდათ პოლიციის ბოქაული ნ. დგებუაძე. ადგილობრივი სოფლის სასამართლოს რევიზიის შემდეგ, მაზრის უფროსმა დაათვალიერა კიწიის ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი. იგი ძლიერ ნასიამოვნები დარჩა იმით, რომ მოსწავლეები ყველა საგნებში კარგად იყვნენ მომზადებულნი და საზოგადოდ სასწავლებელი წარმატების გზაზედ არის დაყენებული. მაზრის უფროსმა, როგორც გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს წევრმა, ეს გარემოება სასწავლებლის ჟურნალში ჩაწერა; სასწავლებლის გამგეს და მასწავლებლებს მადლობა უთხრა, რომ დიდად უშრომიათ სასწავლებლისათვის და თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ბ-ნ მაზრის უფროსმა თვისი მობრძანებით სასწავლებელი ერთი ორად ასწია გლეხების თვალში. ამას გარდა დიდი სამსახური გაუწია სასწავლებელს იმითი, რომ მისი განკარგულებით გზა-ტკეცილი გაიყვანეს ნოქალაქევიდგან კიწიამდის.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სასწავლებლის საქმეში მისს გამგეს, ბლაღოჩინს მამა კონდრატე ჩაჩიბაიას, რომელიც სასწავლებლის ათასგვარ მოთხოვნილებას სამაგალითოდ უძღვება.

ამ სასწავლებლის მეორე კლასში სასოფლო მეურნეობასაც ასწავლიან, რისთვისაც მასწავლებლად მოწვეულია ამ საგნის რიგიანად მცოდნე ბ-ნი პეტრე წიჭწივაძე. სასოფლო მეურნეობის სწავლება კიწიის სასწავლებელში დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურს საზოგადოებას, მით უფრო, რომ აქაური ბუნება დიდად ხელს უწყობს მეაბრეშუმეობას და მეფუტკრეობას.

კიწიელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ტფ. ფურ“. სწერს:

„ჩვენ ხელთა გვაქვს დაბეჭდილი წერილი ბ-ნ იაკიმოვისა, რომლითაც მას საბჭოს ხმოსნებისათვის მიუმართავს. აი, ეს წერილიც: „მოწყალეო ხელმწიფევ! მსურს რა კენჭი ვიყარო ქალაქის ლომბარდის დირექტორის თანამდებობაზედ, უმორჩილესად გთხოვთ, თუ შეიძლება, ხელი შეუწყოთ ჩემს კანდიდატურას. პ. მ. იაკიმოვი“. ეს ახალის თვისების აგიტაცია, საკმაოდ აშკარა ჰყოფს, რა კაცი იქმნება ლომბარდის დირექტორი, თუ იმისმა უმორჩილესმა თხოვნამ გავლენა იქონია ხმოსნებზედ და ამ უკანასკნელთაც მართლაც „მხარი“ დაუჭირეს. ჩვენს საბჭოში არა ერთი და ორია ასეთი უცნაური კაცი. ბ-ნმა იაკიმოვმა, რომელიც კანცელარიის უბრალო მოხელედ იყო, მოიწადინა რა კარგი, თბილი ადგილი ჩაეგდო ხელში, მიმართა თავისს ამხანაგებს საყოველთაო წერილით და სთხოვა მხარი დამიჭირეთო. მეორე ხმოსანი თავ. ნ. ე. არღუთინსკი, რომელიც სამოსამართლო უწყებაში ჰმსახურებდა და დღეს კერძო ვექილია, ჰკისრულობს ცხენის რკინის გზისათვის ცხენების ყიდვას, ხოლო ხმოსანი არშაკ სერგეის ძე ბაბოვი საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ თხოულობდა, რომ თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი დაჯილდოვებულ იქმნას იმ შრომისათვის, რომელსაც იგი ცხენების ყიდვის საქმეში გასწევსო.“

ასე ჰქადაგებს დღეს ის გაზეთი, რომელიც ამ ერთის წლის წინად, აწინდელის ხმოსნების არჩევნების დროს, ამტკიცებდა, რომ ასეთი ხმოსნები, როგორიც ეხლა აირჩიეს, ქალაქის საბჭოს არა ჰყოლიაო, საზოგადოდ მომავალი საბჭო განათლებულ, მშრომელ, პატიოსან და კიდევ ვინ იცის რა ღირსების ხმოსანთაგან არ შესდგებაო. კერძოდ ჩვენ სრულიადაც არ გაგვიკვირდება, „კულტუროსანთა“ საბჭოში უარესი საქმეებიც რომ მოხდეს. არჩევანების დროსვე, როდესაც მართლაც ბევრი მშრომელი და განათლებული კანდიდატი გააშავეს, აშკარა იყო, რომ ქალაქის მომავალი პატრონნი რალაც „შინაურ საქმისა“ და „შენ ჩემობისათვის“ ემზადებოდნენ...

## რუსეთი

—

აზრადა აქვთ მერმისს პეტერბურგში ფრინველთა საერთაშორისო გამოფენა გამართონ. გამოფენა დაიწყება მომავალის წლის მაისის პირველში. ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღების თანხმობა განაცხადეს: საფრანგეთმა, ავსტრი-უნგრეთმა, ბელგიამ, შვეციამ, ნორვეგიამ, ინგლისმა, გერმანიამ და დანიამ. რაც შეეხება კერძოდ რუსეთის იმპერიას, გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ, შიდა რუსეთის გარდა, კავკასია, ციმბირი, იმიერ კასპიის მხარე და ბუხარა.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს საგუბერნიო სამმართველოებში ცვლილება მოახდინოს. ამ ცვლილებათა პროექტი უკვე დაეგზავნა ყველა გუბერნატორებს განსახილველად და თავიანთის აზრის გამოსათქმელად. ამ ზამთარს განსაკუთრებული კომისია იქმნება შემდგარი, რომელიც განიხილავს გუბერნატორების აზრს და დაწვრილებით შეიმუშავებს პროექტს.

— კარგა ხანია ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას ქალაქების სასარგებლოდ სადგომის გარდასახადი და ამ გარდასახადის გამღებთ ქალაქის საქმეებში ისეთივე უფლება მიენიჭოთ, როგორიც სახლის პატრონებსა აქვთ მინიჭებული. ეხლა გაზ. „Рус. Лист.“-ი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი ამ საგნის შესახებ და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა განსახილველადაო.

— გაზეთების სიტყვით პორტ არტურში, რომელიც ჩინეთმა ამ რამდენისამე თვის წინად დაუთმო რუსეთს, მდიდარი მადნები აღმოუჩენიათ ქვა-ნახშირისა და სხვა ძვირფასს მადნეულობისა. ამ დღეებში პეტერბურგიდგან რვა ინჟენერი მიდის იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც მადნეულება აღმოუჩენიათ. საზოგადოდ, როგორც ამბობენ, პორტ-არტურს მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა არ ექმნება რუსეთისათვის. იგი სხვაფრივაც ბევრს სარგებლობას მოუტანს რუსეთს. რუსები თან და თან ეწყობიან ამ ქალაქში, მათ უკვე დააარსეს სავაჭრო სახლები, მაღაზიები, რესტორანები, სასტუმროები. ამ დღეებში სტამბის დაარსებასაც აპირებენ.

— მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით ამა წლის 20 ოქტომბერს სამხრეთ რუსეთის ერთს-ერთს ქალაქში მოხდება კრება „რუსეთის მთამადნების მწარმოებელთა. ამ კრებამ მეტად საყურადღებო საგნები უნდა განიხილოს. სხვათა შორის მან უნდა შეიმუშავოს პროექტი იმისა, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს სტატისტიკური ცნობები შავის ქვის წარმოების, იმის გასაღების, ბაზრის, რაოდენობის და სხვათა შესახებ.

— გაზ. „Сиб. Вѣст.“ იუწყება ერთს სამწუხარო ამბავს, რომელიც რუსეთის თითქმის ყველა გაზეთებმა გადაბეჭდეს. ეს ამბავი ციმბირში მოხდარა. ეტაპით პატიმარნი მიჰყავდათ თურმე. როდესაც პატიმარნი სოფელ ყურდოვკას მიუახლოვდნენ, პატიმართა დასის უფროსს, აფიცერს პოპერბას უსაბუთოდ პატიმართა ლანძღვა-გინება დაუწყია. წინადაც გზაში პოპერბა მეტად სასტიკად და ცუდათ ექცეოდა თურმე პატიმართ, ხოლო როდესაც ზემოხსენებულ სოფელს მიახლოვდნენ, მშიერ-მწყურვალ პატიმართათვის სურსათის ყიდვის ნებაც-კი არ მიუცია. პატიმართ ვეღარ მოუთმენიათ და უკმაყოფილება განუცხადებიათ. ერთს მათგანს ხმა მაღლა დაუწყია ლაპარაკი აფიცრის წინააღმდეგ. აფიცერს დაუჭყივლია, დაწუმდიო, თორემ დაგხვრეტავთო, მაშინ ერთს პატიმარს უთქვამს, დახვრეტა გვირჩევნია ასეთის ცხოვრებასო. აფიცერი უფრო გაბრაზებულა, ცალკე გაუყვანია ის პატიმარნი, რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებდნენ და უბრძანებია ჯარის კაცებისათვის თოფები ესროლეთო, რომელთაც დაუყოვნებლივ აუსრულებიათ ეს ბრძანება და სამი პატიმრისათვის იქვე ბოლო მოუღიათ. როგორც შემდეგ გამოურკვევიათ ეს აფიცერი სულით ავადმყოფი ყოფილა.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებშიაც ეხლა ბევრი იმ აზრისაა, რომ დრეიფუსი უდანაშაულოდ იქმნა დასჯილიო. ხოლო 1894 წ., როცა იგი გაასამართლეს და ღირსება აჰყარეს, თითო-ოროლა კაცის მეტი არ მოიპოვებოდა ასეთის შეხედულებისა. ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს გაზ. „Libre Parole“-ს რედაქტორის საუბარი პოლკოვნიკ მორილთან, რომელიც სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეობდა 1894 წ. დრეიფუსის საქმის გარჩევის დროს.

მორილს უთქვამს რედაქტორისათვის, რომ სასამართლოს წევრებს გარდაწყვეტილი ჰქონდათ დამნაშავისათვის სიკვდილით დასჯა მიესაჯათ და მე ძლივს-ძლივობით დავარწმუნე ისინი, რომ ასეთი სასჯელი კანონის დარღვევა იქმნება მეთქი. ეხლა თქვენ გასინჯეთო, განაგრძო რედაქტორმა, რა რიგ უნდა ყოფილიყვნენ ჩემი ამხანაგები დარწმუნებულნი, რომ დრეიფუსი უთუოდ დიდი დამნაშავეაო.

— მუშებიც არ ჩამორჩნენ უკან საფრანგეთის პოლიტიკანებს და ისინიც დიდის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ დრეიფუსის საქმეს. სხვა-და-სხვა ქალაქის მუშათა ამხანაგობა ყორესს და პრესანსეს ყოველდღე წერილებით იწვევს,—მობრძანდით და დრეიფუსისა და პიკარის შესახებ ნამდვილი ამბავი გაგვაგებინეთო. ყორესი კიდეც წასულა მუშათა კრებაზედ დასასწრებლად რეიმსში.

მუშები დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მომხრენი არიან, ანუ უკეთ ვსთქვათ, დრეიფუსისა. 1090 მუშათა ამხანაგობის 104 წარმომადგენელს რენში კრება ჰქონია, სადაც სასტიკად გაუკიცხავთ როშფორი, რომელიც დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგია და ამიტომ იეზუიტებსა და შოვინისტებს ემხრობა.

— ამ რამდენისამე დღის წინად პარიჟის ქუჩებში კრებები ჰქონდათ როგორც დრეიფუსის მომხრეთ, ისე წინააღმდეგთაც. კრებებმა მშვიდობიანად ვერ ჩაიარა: მოწინააღმდეგე დასნი ერთი მეორეს შეეტაკნენ და დიდი უწესობაც მოახდინეს. ამის გამო საქმეში პოლიცია ჩარია და ბევრი კაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე აღმოჩნდა, როგორც, მაგალითად, გაზ. „Temps“-ის რედაქტორი. დრეიფუსის მომხრენი სასტიკად ჰლანძღავენ გაზეთებში მოწინააღმდეგე დასს და პოლიციასაც. ერთი გაზეთი ამბობს, რომ პოლიცია მფარველობას უწევდა დრეიფუსის წინააღმდეგთ, ხოლო მის მომხრეთ არა ჰზოგავდა და ბევრი იმათგანი უდანაშაულოდ პოლიციაშიაც მიჰყავდაო. თავის მხრივ დერულედის დასი აღტაცებით ეგებებოდა პოლიციას და გაიძახოდა: „გაუმარჯოს პოლიციას! გაუმარჯოს ჯარსაო!“ აგრეთვე საოცარი იყო ისიც, რომ დერულედის დასში ბევრი სასულიერო წოდების კაცი ერია და იეზუიტების სასწავლებელთა მოსწავლენიო. ერთი მღვდელი ბრბოს წინ მიუძღოდა და ხელში ეჭირა ჯვარი, რომელსაც ჰაერში იქნევდა და გაიძახოდა: „გაუმარჯოს მხედრობას! არ გვინდა ზოლასო!“

— ერთის ფრანგულის გაზეთის სიტყვით, დერულედის დასს რესპუბლიკის წინააღმდეგ ვითომ შეთქმულობა ჰქონია. პარლამენტის კრება რომ დაიწყება, ეს დასი დრეიფუსის საქმის გადასინჯვის სხვა წინააღმდეგთაც შეაერთებს და ბურბონის სასახლეს მიადგება. იგი მოითხოვს, რომ ბრისონი უთუოდ სამსახურიდგან იქმნას გადაყენებული. შეთქმულობაში სამი გენერალიც ურევია, განაგრძობს გაზეთი, და ერთი იმათგანის ვინაობა ბრისონმა კიდეც იცისო.

—

**კრიტი.** კანდიის ახალ გუბერნატორს ჯავად-ფაშას მიწერილობა მისვლია, რომელშიაც ნათქვამია,—გამოუცხადე მაჰმადიან მკვიდრთ, რომ დიდ სახელმწიფოთა მოთხოვნილებას ოსმალეთი არ შეიწყნარებს და კრიტიდგან თავისს ჯარს არ გაიყვანსო.

—

**შეერთებული შტატები.** ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ რუსეთმა, ინგლისმა და გერმანიამ პეკინში რამდენიმე ჯარის კაცი გაგზავ-

ნეს იქ მომხდარ უწესოების გამო. გერმანიის ერთის გაზეთის სიტყვით, შეერთებულს შტატებსაც განუზრახავს რამდენისამე საომარის გემის გაგზავნა ჩინეთში. შტატების გარეშე საქმეთა ახალს მინისტრს ჰეის ვითომ ეთქვას, რომ ჩინეთში მომხდარი ამბები ერთობ საშიშოა და თუ ჩინეთის განაწილება მოხდა, ამერიკა გულ-ხელ-დაკრეფილი ყურებას არ დაუწყებს და უთუოდ წილს დაიდებსო.

—

**ჩინეთი.** რაც დღე გადის, ჩინეთში ხალხის მღელვარება თანდათან ჰმატულობს და ეხლანდელი მთავრობა ერთსაც ადარავის ინდობს გადაყენებული იმპერატორის მომხრეს. დედოფლის ბრძანებით, ამ დღეებში სამსახურიდგან გადააყენეს, უოკლეივე ღირსება აჰყარეს და ჩინეთის თურქესტანში გაჰგზავნეს ჩინგ-ინ-ხუანი, რომელიც ჩინეთში ცვლილებათა შემომღების მომხრე იყო. ეს კიდევ ცოტაა. ჯერ არავინ იცის, იმპერატორი ცოცხალია, თუ არა. ინგლისელი ექიმი დოჯენი, რომელსაც დიდი ხანი უცხოვრია ჩინეთში და იქაური ზნე-ჩვეულება კარგად აქვს შესწავლილი, ჰფიქრობს, რომ იმპერატორი ცოცხალი აღარ უნდა იყოსო. „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენლისათვის უთქვამს დოჯენს, რომ ჩინელებს მე დამ ჩვეულებად ჰქონდათ არა სასიამოვნო ამბავი თავის დროზედ არ გამოექვეყნებინათო. ხშირად მომხდარა, რომ ხელმწიფის გარდაცვალებისა ან სხვა წარჩინებულ გვარეულობის წევრის სიკვდილი ერთის წლის შემდეგ და უფრო გვიანაც გამოუცხადებინათ ხალხისთვისო.

თუ მართლაც იმპერატორი მკვდარიაო, უთქვამს შემდეგ დოჯენს, სამეფო ტახტს კუნგის მმის წული ინი დაიჭერს, რომელიც ამ ოც-და-ოთხის წლის წინად იყო დანიშნული ტახტის მემკვიდრედაო. ინი ჯან-სადი და განათლებული კაცია და ამასთანავე უცხოქვეყნელებიც უყვარსო. მართალია, ის პეკინს არასოდეს არ განშორებია, მაგრამ უცხო ქვეყნების საქმეს გულ-მოდგინეთ სწავლობდაო. ჩინელები იმას კანონ-ხსიუს კანონიერ მემკვიდრედ სცნობენო. ინი სხვების სათამაშო საგნად არ გახდება, რადგან ის მტკიცე ხასიათის კაცია, ვიდრე მისი წინამოადგილე, და, ამას გარდა, იგი დედოფლის ნათესავი არ არისო. მე არა მგონია, განუგრძია საუბარი დოჯენს, რომ ახალს მთავრობას თან მოჰყვეს რაიმე დიდი ცვლილება, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ჩინეთის ძველს წეს-წყობილებას კადა გაუვიდა და ახალ ცვლილებათა მომხრენი არ მოისვენებენ, ვიდრე ასეთი წეს-წყობილება იქმნებაო.

ზოგიერთები-კი ამტკიცებენ, რომ იმპერატორი ცოცხალია, მაგრამ დედოფლის განკარგულებით იგი ერთს მივარდნილს კუნძულზედ გაჰგზავნესო. იმასაც ამბობენ, რომ ვითომც გასურებული მარწყუსით სხეულს ჰგლეჯდნენ იმპერატორსაო.

## დამაკვირდი

მხოლოდ კეთილშობილი გონება სცემს პატივს ხატებასა კეთილშობილსა.

შილლერი

* * *

უოკეთი ჩვენთაგანი დამნაშავეა იმითაც, რომ იგი სცოცხლობს. არ არის ისეთი კაცობრიობის კეთილის-მყოფელი, რომ იმედი ჰქონდეს, აქაო-და სარგებლობა მომაქვს, უფლება მაქვს სიცოცხლისაო.

ტურგენევი

* * *

შეჰკრავს სოფელი და დამონებს სრულიად უგუნურებით მოყვარეთა მისთა.

იოანე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ავსტრიის ჯარის ოფიცერის ოტტო ბერნატის მიერ შედგენილ სასტატისტიკო ცნობებში ბევრი რამ საყურადღებოა. ამ ცნობებიდგანა სჩანს, მაგალითად, რომ ბრძოლის ველზედ ყოველთვის იმ ჯარს არ გაუმარჯვნია, რომელიც რიცხვით მომეტებული ყოფილა. ამ საუკუნეში ომის დროს დიდი ბრძოლა ყოფილა 73 და ამათში 33 ბრძოლის დროს გამარჯვება დარჩენია იმ ჯარს, რომელიც რაოდენობით უფრო მცირე ყოფილა მტრის ჯარზე. იგივე ითქმის ზღვაზედ მომხდარ ბრძოლის შესახებაც. ტრაფალგაგერის ბრძოლის დროს ადმირალს ნელსონს ჰქონდა სულ 27 გემი და ამ გემებით ებრძოდა ფრანგ-ესპანელთა 33 გემს, რომლებსაც უფროსობდა ადმირალი ვილნევი. 13 გემი დამარცხდა. ადმირალი გრავინი კადიკსში წავიდა 10 გემით, ხოლო ორი ადმირალი, ვილნევი და გისპერზნსი დაპატიმრეს. ნავარინის ბრძოლის დროს ინგლისელებმა, ფრანგებმა და რუსებმა, რომელთაც იმ დროს სულ 26 გემი ჰქონდათ, ოსმალეთ-ეგვიპტეს მთელი ფლოტი გაანადგურეს, რომელიც 82 გემისაგან შესდგებოდა. უფრო გვიან ავსტრიის ადმირალმა ტეგეტგოფმა დაამარცხა ლისსთან უფრო ძლიერი ფლოტი იტალიისა, რომელსაც უფროსობდა ადმირალი პერსანო. იმავე ცნობებიდგანა სჩანს, რომ ომის დროს იმდენი კაცი არ იხოცება და არა ჰშავდება ბრძოლის ველზედ, რამდენიც იხოცება და ავად ჰხდება გაჭირვებისაგან. ყირიმის ომის დროს ყირიმის სამკურნალოებში 362,000 ავადმყოფი იყო, ამათში, 109,200 კაცი სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა და მხოლოდ 6,200 კაცი ჭრილობისაგან მოკვდა. არც ერთს ბრძოლის დროს არ დახოცილა იმდენი ხალხი, რაც 1870—1871 წლებში დაიხოცა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომის დროს. იმ 200,000 ჯარის-კაცთა შორის, რომელთაც ალყა შემოარტყეს ქალაქს მეცს, სადაც მარშალი ბაზენი იყო მომწყვდეული, სხვა-და-სხვა სენისაგან ავად გახდა 130,000 კაცი, ხოლო გერმანიის სამკურნალოებში მყოფ ჯარის კაცთა შორის, რომელთა რიცხვი 295,000-ს აღემატებოდა, მხოლოდ 80,000 კაცი იყო დაჭრილი. 1871 წელს გერმანიის სამკურნალოებში 830,000 ავადმყოფი ჯარის კაცი იყო.

* * *

ცნობილი არქეოლოგოსი სოლომონი რეინაკი, რომელსაც აბარია სენ-ჟერმენას მუზეი, აქამდე წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ეგრედ წოდებულ მილოსის ვენერას ქანდაკება განახლებულიყო. ეხლა-კი თითონ იმ აზრისაა, რომ ეს ქანდაკება უნდა განახლდეს, ხოლო იმას-კი ამტკიცებს, რომ ეს ქანდაკება ვენერასი-კი არ არის, არამედ ამფიტრიდას ქანდაკება არისო. რეინაკი თავისს აზრს შემდეგ ამბავზედ ამყარებს. 1874 წელს მილოსში იპოვნეს პოსეიდონის ქანდაკება, იმ ქანდაკების ზომისა, რომელიც ვენერას ქანდაკებად მიაჩნდათ. პოსეიდონს ტანთ-საცმელი უჭირავს მარცხენა ხელით, ხოლო ამფიტრიდას მარჯვენათი და რეინაკი ამბობს, ამ ცოლ-ქმართა ქანდაკებანი ერთად იდგნენო.

რეინაკი იმასაც ამბობს, რომ ეს ორივე ქანდაკება ქრისტეს დაბადებამდე 370 წლის წინად იყო გაკეთებულიო.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი საყმაწვილო წიგნაკი: „სხივი წარსულის“ ისტორიული ამბავი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნაკი 16 გვერდს შეიცავს, მშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილია და ჰღირს ერთი შაური. ამ წიგნაკის წმინდა შემოსავალი, ავტორის სურვილით, მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 სექტემბერი.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერიის ბანკმა ოფიციალურად ასწია დისკონტი 9 პროცენტიდგან 5-მდე.

**პირიჟი.** პროვინციების მუშათა და რკინის გზის მოხელეთა უმრავლესობამ გაფიცვას წინააღმდეგობა გაუწია. გაფიცვას ცოტაოდნად შემცირება ეტყობა.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარი ბიულოვი საღამოთი მიდის ბერლინიდგან, რომ იმპერატორის ბრძანებით თან გაჰყვეს მას აღმოსავლეთისაკენ, საითაც იმპერატორი მიემგზავრება.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა პალატა მიიწვიონ 25 ოქტომბერს.

**პარიჟი.** სასამართლოს ბოქაული შეუდგა ზოლას მოძრავის ქონების გაყიდვას, რათა ამ გვარათ შემდგარ ფულით მისცენ ჯილდო ექსპერტებს. გამომცემელმა ფასკელმა იყიდა 32,000 ფრანკის ნივთები ე. ი. იმ ფასითა, რამდენიც ვალია. პირველათ მაგიდა არის გასასყიდათ დასახელებული.

**პარიჟი.** გაფიცულ მუშებმა მშვიდად დაიწყეს მუშაობა 2,950 კაცმა, წინა დღეებში სულ 1,200 კაცი იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 სექტემბერი

| | მყიდვე-ლნი. | გამყიდ-ველნი. | გარიგე-ბული |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 97 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | 101⅞ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 294 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 256 |

## ქართულის გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის ტაძართან არსდება ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის—დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევკტო კარბელაშვილი

## მოწოდება

ამ დღეებში დასრულდება ბეჭდვა ჩვენის რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის მეორე წიგნისა (ასო **ბან**-ზე) და შევუდგებით მესამე წიგნის გამოცემის თადარიგს ასო **ვ**-ზე. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს მის შედგენაში, ვთხოვთ სტატიები ამ წლის ღვინობისთვის გასვლამდის მოგვაწოდონ. სტატიები უნდა შედგენილი იყოს ბროკგაუზის და ეფრონის რუსული ლექსიკონიდან (9—14 წიგნებიდან). პირველი სიტყვა უნდა იყოს რუსულად, ხოლო განმარტება და აღწერა—ქართულად. ჩვენი ახალგაზდა მწერლები და სტუდენტები იმედია ისარგებლებენ ჩვენის მოწოდებით და შეძლებისამებრ დაგვეხმარებიან თავიანთის ცოდნითა და ნაკალმევით. თითოჲ რომ 10—15 მოკლედ გადმოღებული ანუ შედგენილი სტატია მოგვაწოდოს თავის სპეციალურ სადგნიდგან, ჩვენი ლექსიკონი, იმედია, ნამდვილი მისწრება იქმნება ქართველ საზოგადოებისათვის, რომელიც ჩვენის უთაურობით აქამომდე მოკლებულია უბრალო საშუალებასაც-კი რომელიმე ცნობის ამოსაკითხად საჭირო დროს. ჩვენს მეორე წიგნში, მაგალითად, აწერილია ბ ო რ ჩ ა ლ ო ს მ ა ზ რ ა; სხვაფრივ სად უნდა ამოიკითხოს ჩვენმა კაცმა ანუ ქალმა რაიმე ცნობა მისსა და სხვათა მისთანების შესახებ, თუ არ ამგვარ ლექსიკონიდან?

ვთხოვთ კვალად ჩვენს ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, ბუნების მეტყველებს, მეურნე-აგრონომებს, იურისტებს, არქეოლოგებს, ნუმიზმატიკებს, გეოლოგებს, სოციოლოგებს, მატემატიკოსებს, პოლიტიკო-ეკონომისტებს, ხიმიკოსებს, ტეხნიკოსებს, მრეწველებს, აქიმებს, ღვთის-მეტყველებს, ერთი სიტყვით, ყოველი დარგის მეცნიერებს და მცოდნეთ, დროით მოგვაწოდონ სტატიები ასო B-ზე. სტატიები შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც გამოიგზავნოს, ე. ი. პირველად 4—5 სტატია, დანარჩენი შემდეგ. ყველა სტატიას მოვუწერთ ავტორის სახელ-გვარს. მსურველს, რასაკვირველია, არ აეკრძალება ისარგებლოს სხვა ლექსიკონებითა და წყაროებითაც.

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ, Чавч. ул. № 24, Ивану Павловичу Ростомашвили.

ივანე როსტომაშვილი

## განცხადებანი

დაიბეჭდა დ ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ. (10—უ.—6).

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა**

**музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул.
(42—6.—17)

# სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—6.—1)

# შავი და თეთრი პილპილი

დანაყილი და გასასყიდად დამზადებული თუნუქის დაჭვრეთილ თავსახურიან კოლოფებში და მშვენიერს შუშებში, $^1/_{32}$-დგან 1 გირვანქამდის, დანაყილი და დამზადებული მოსკოვის

**რ. კელერისა და ამხ.**

ქარხანაში. ისყიდება ყველგან და ყველა დიდ ვაჭართან. ყალბ დანაყილ პილპილის დამზადება ისეთ ნაირად არის გავრცელებული, რომ ხშირად დანაყილი პილპილი უფრო იაფად იყიდება დაუნაყავზედ. ამხანაგობის იარლიკი „**რ. კელერი და ამხ.**“, როგორც ყველას მოეხსენება, უტყუარი თავმდებია ამ საქონლის უნაკლულო ღირსებისა. (перецъ черный и бѣлый). (3—მ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**